ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №7777184

ნომერი: AR11124898

თარიღი : 15.01.2026

გაცემის თარიღი : 23.01.2026

გაცნობის თარიღი : 23.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა, N 123;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ჭუმბურიძე პ/ნ 01018003942
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 15 იანვრის №AR11124898 განცხადებით მომართა ნიკა ჭუმბურიძემ და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის

№7686886 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანებით, №01.14.16.009.509 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (,,ა“, ,,ბ“, ,,ც“ და ,,დ“ ბლოკები), კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2025 წლის 3 დეკემბრის №7727373, 2025 წლის 22 დეკემბრის №7750723 და 2026 წლის 8 იანვრის №7764010 ბრძანებებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან და გეგმებთან დაკავშირებით.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან საოფისე ფართობის (218.3 კვ.მ.) ამოღება. ასევე, საცხოვრებელ ფართობად 14611.3 კვ.მ-ის ნაცვლად 14615.2 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 6661.3 კვ.მ-ის ნაცვლად 6664.3 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 28458.9 კვ.მ-ის ნაცვლად 28247.5 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ (სამსახურის 2025 წლის 3 დეკემბრის №7727373, 2025 წლის 22 დეკემბრის №7750723 და 2026 წლის 8 იანვრის №7764010 ბრძანებებით ჩანაცვლებულ) არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმაზე ფართობების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას საოფისე ფართობი: 218.3 კვ.მ. ამასთან, საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს: 14615.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობად: 6664.3 კვ.მ., საერთო ფართობად: 28247.5 კვ.მ
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანებით შეთანხმებული (სამსახურის 2025 წლის 3 დეკემბრის №7727373, 2025 წლის 22 დეკემბრის №7750723 და 2026 წლის 8 იანვრის №7764010 ბრძანებებით ჩანაცვლებული) არქიტექტურული გეგმები (გარდა სახურავის გეგმებისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 ოქტომბრის №7686886, 2025 წლის 3 დეკემბრის №7727373, 2025 წლის 22 დეკემბრის №7750723 და 2026 წლის 8 იანვრის №7764010 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.